საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №01

ქ. ბათუმი 26 მარტი, 2018წ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 მარტის N35 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი დანართი 1-ის შესაბამისად.
2. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დ.ბარათაშვილი**

დანართი 1

დამტკიცებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2018 წლის 26 მარტის N01 გადაწყვეტილებით

ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის შესაბამის სასწავლო გარემოს აღწერილობასა და ამ გარემოს გათვალისწინებით სტუდენტთა (,,სტუდენტი“) ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.
2. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის კონტიგენტის რაოდენობის განმსაზღვრელ მეთოდოლოგიას შეიმუშავებს ბსუ-ს აკადემიური საბჭო და წარუდგენს დასამტკიცებლად ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროფესიული პროგრამის ხანგძლივობა, სასწავლო გარემო, აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.
4. თითოეული პროფესიული პროგრამის შემუშავების პროცესში, ამ პროგრამაზე დასაშვები პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინება წინამდებარე წესით დადგენილია მეთოდოლოგია.
5. ბსუ-ში პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის ზღვრული ოდენობა დგინდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის პროფესიული პროგრამების მართვის სამსახურის მიერ დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე წარდგენილი ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამსახურებრივი ბარათით.
6. ბსუ-ში არსებობს A, B და C ტიპის სასწავლო გარემო (სულ 3 ტიპის):

ა) A ტიპის სასწავლო გარემო - თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ასეთი გარემო ძირითადად აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით და საჭიროების შემთხვევაში დემონსტრირების საშუალებით;

ბ) B ტიპის სასწავლო გარემო - კომპიუტერული ლაბორატორია, სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, რომელიც აღჭურვილია პროგრამების მოთხოვნების შესაბამისი კომპიუტერებით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების საშუალებით;

გ) C ტიპის სასწავლო გარემო-სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით, სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის.

7. პროფესიული პროგრამების პრაქტიკული მოდულები ითვალისწინებენ სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, რეალურ სამუშაო გარემოში, ბსუ-ს მიერ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმების /ხელშეკრულებების საფუძველზე.
8. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეში განთავსდეს და ერთდროულად არსებობდეს A და B, B და C ან/და მხოლოდ C გარემო.
9. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორ-ცვლიანი მუშაობის რეჟიმში.
10. ბსუ-ში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

    ა) A და B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

    ბ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (თუ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ადგილები) ან C სასწავლო გარემოს ფართი (თუ სტუდენტს არ აქვს ინდივიდუალური სამუშაო) ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული

ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში).

11. დუალურ სწავლებაში საწარმოდან გამოყოფილ ერთ ინსტრუქტორზე მაქსიმუმ 3 სტუდენტი შეიძლება მოდიოდეს. ინსტრუქტორს უნდა გააჩნდეს შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და სტუდენტის შეფასების კომპეტენცია.
12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით მხედველობაში მიიღება ის გარემოება, რომ პროგრამების უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, სპეციალიზებულ სახელოსნოებში, ღია სივრცეში. აღნიშნულის გათვალისწინებით პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლებისათვის ბსუ-ს სასწავლო ფართი შეიძლება დაიტვირთოს შემდეგნაირად:
   ა) A სასწავლო გარემო - ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დაიტვირთოს 50%-ით, რაც საშუალებას იძლევა ერთ ცვლაში მიღებული იქნეს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით - ოთხმაგი რაოდენობა;
   ბ) B სასწავლო გარემოში სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად, B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში შეიძლება დაიტვირთოს საშუალოდ 5%-ით, რაც ბსუ-ს საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების 20-მაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით 40-მაგი რაოდენობა;
   გ) პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე მუხლის ,,ა“ და ,,ბ“ პუნქტებით განსაზღვრულ რაოდენობებს შორის უმცირესს.
10. 20 (ოც) პროფესიულ სტუდენტზე ბსუ-ს უნდა ჰყავდეს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

მუხლი 2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ინიციატივის საფუძველზე, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.